რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთი თვისა	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. ჩვეულებრივი ასოთი — სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

სამშაბათს, 22 თებერვალს
ტფილისის კრუჟოკში
გამართული იქნება
ბალი
ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილ კაბებით იყვნენ.

ბილეთები წინდაწინვე ისყიდება შავერდოვის საგაზეთო სააგენტოში, ხოლო ბალის დღეს — თვით კრუჟოკში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინების გამო, ამა თებერვლის 25 დღესა იქმნება გახსნილი **განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის ტფილისის გუბერნიის შეკრებილება.**

ამისათვის ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი აცნობებს თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას და უმორჩილესად სთხოვს, რათა მობრძანდენ შეკრებილებაში, რომელიც იქმნება გახსნილი იმ სახლებში, სადაც თითონა სდგას ამა თებერვლის 25 დღესა, 10 საათზედ დილით. (3—1)

ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

საზღვარ გარეთიდამ

20 თებერვალს

პარიჟი. რესპუბლიკურ კავშირის წარმომადგენელს, რომელმაც მოისურვა შეეტყო ახალის სამინისტროს აზრი კონსტიტუციის გადასხედვის შესახებ, ფერრიმ, მიუგო: რადგან შესაძლებელია სენატმა წინააღმდეგობა გაგვიწიოს, უდროოა ეხლა ამ გვარი გადასხედვა კონსტიტუციისა და საჭიროა მოვიცადოთ სენატის წევრთა ახლად ამორჩევამდისაო.

უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა განაცხადა სენატში რომ საფრანგეთს ამ ჟამად სრულიად ხელთ უპყრია თუნისი.

სოფიო. გუშინ ბოლგარიამ იდღესასწაულა სან-სტეფანეში შეკრული პირობის დღეობა.

მთავრის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ეკკლესიის აგებას განსვენებულის ალექსანდრე II-ის სახსოვრად, რომლისთვისაც 413 ათასი ფრანკი უკვე მოგროვილია.

რუსეთიდამ

20 თებერვალს

ყაზანი. 22 თებერვალს სასამართლო პალატაში განირჩევა საქმე ნასტუდენტარის ვორონცოვისა, რომელმაც შეურაცხყო მოქმედებითა თვისითა ბ. ფირსოვი, რექტორის თანამდებობის აღმსრულებელი.

პეტერბურღი. უმაღლესის ბრძანებით, მესამე განყოფილების დახურვის შემდეგ დაფუძნებული სასამართლო განყოფილება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, დაბოლოებით გადავა სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის მმართველში; ამასთან უკანასკნელი გადაკეთდება პოლიციის დეპარტამენტად და დარჩება შინაგან მინისტრის თანაშემწის გამგეობაში, რომელიც მიიღებს წოდებას „სახელმწიფო პოლიციის გამგეობისას".

უმაღლესის ბრძანებით ინიშნება: სახელმწიფო რჩევის წევრი გრაფი პალენი ცერემონიის მოთავედ ხელმწიფის დაგვირგვინების დროს და პეჟდავის საქმეთა მთავარ-სამართველოს რჩევის წევრი გარადინოვი შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრად.

სახალხო ლიტერატურა.

ზეპირი ლიტერატურა მწერლობითს ლიტერატურაზე უფრო ადრე ჩნდება ხალხში. ამ ზეპირ ლიტერატურაში გამოიხატება ხალხის გონებითი და ზნეობითი სიმაღლე და განვითარება.

ეს ლიტერატურა გაუჩენია მის ტვინს, მის ფანტაზიას (წარმოდგენილობას) ძალ-დაუტანებლად, ისე, როგორც პირველადვე მოუხდენია მასზე რაიმე საგანს ან ბუნებით მოვლენას; ყოველ შესამჩნევ შთაბეჭდილებას ნათლად და ცოცხლად დაუტოვებია კვალი მის ტვინში და გამოუხატავს სიტყვებით.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ყოველგვარ ხალხის ნაწარმოებში ის არის, რომ მასში იხატება მთელი ხალხის მდგომარეობა, მისი ყოფა-ცხოვრება, ავი და კარგი. ხალხის ავტორს სწვავს, უთუთქავს გულს მისი თანამოძმის ცეცხლი და სიმწარე. ის ყოველ ეგოისტურ მიზანს მოკლებულია. ავტორის ვინაობა დაკარგულია. თავის ნაწარმოებში ხალხი გვაჩვენებს ნათლად თავის ცხოვრებას, ხასიათს და მდგომარეობას.

სახალხო ლიტერატურა არჩევს ხალხის ცხოვრების ყოველს მხარეს. იქ ნათლად გამოიხატება მისი ზნეობითი, გონებითი, სარწმუნოებითი და ეკონომიური მხარეები. როგორც კაცობრიობას ემჩნევა წინ-წასვლა, ისე მისი გონებითი ნაწარმოებიც უკეთესდება და ხდება ღირს-შესანიშნავი, არამც თუ მარტო იმ ეპოქაში მცხოვრებთ ხალხთათვის, არამედ მომავალი ეპოქისათვისაც ძლიერ უსაჭიროეს საუნჯეს შეადგენს იგი.

როგორც საზოგადოდ სხვა ხალხს, ისე ჩვენცა გვაქვს ჩვენი ხალხის მრავალ-გვარი გონებითი ნაწარმოები, როგორც მაგალითად: ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და სხვანი.

ამ უკანასკნელს დროს ჩვენმა განათლებულ საზოგადოებამ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რომლისთვისაც ყოველი ქართული გული გრძნობით მადლობას უძღვნის მათ.

ხალხის გონებით გახსნილობას, მის სიბრძნეს და მის ჭკუა-გამჭრიახობას

«დროების» ფელეტონი, 22 თებერვ.

რამე-რუმე

(ბუხართან)

კარგი დღე მოდიოდა; ცას კაშკაში გაუდიოდა; მზემ ქვეყანა გააბრწყინვა; დახამებულ თვალს ისე ჩვენა, თითქოს მზეს სიბრწყინვე მომატებიაო. მაგრამ დილა კი ძალიან სუსხიანი იყო. მე ბუხარს შევუმატე; ამანაც არ მიღალატა — შექმნა საამურად გუგუნი; ალი თავს ევლებოდა შეტრფსულ შეშას, ეკლაკნებოდა მას, როგორც არშიყი ქალი თავის გულის სატრფოს. მიუჯექ ბუხარს, ფეხები ქართული წესისა-მებრ, ბუხრის პირზე დავაწყე და მიუფიცხე; რამდენიც დამეწოდა, ჩამოვღლებდი, და ახლა კიდევ. ვიყავ ამ განცხრომაში, თუ კი შეიძლება ამას განცხრომა დაუძახოთ. ცეცხლმა და ალმა აღძრა ჩემი ფიქრები; ფიქრი ფიქრს გამოადევნა; ფრთები შეუსხა და მთელი ქვეყანა შემომარბევინა. ცეხლის ალიდამ გადაველი ხალხის ცრურწმუნებაზე „ალზე". იქნება, იმიტომ დაურქმევიათ იმ ლამაზი და სპეტაკი, თმა გაშლილი ქალისთვინ „ალი", რომ ცეცხლის ალის ფრად აქვს ხალხს ის წარმოდგენილი-მეთქი. მომაგონდა ბერნეს სიტყვები: „წვა ნიშნავს სიცოცხლესო, ამ დამწვარი შეშიდაი დარჩება ნაცარი; დანარჩენი ნაწილებმ კომლის სახედ ადის ჰაერში. უქმად არ მიდის ეს კომლი, ის იქ, მაღლა, იკრიბება, ერთად ქუჩდება და ადგენს ღრუბლებსო, ღრუბლები იტენებიან წვიმით, რომელიც ნიადაგს, მიწას ანაყოფიერებს, და ესრედ სიკვდილი ჰბადებს სიცოცხლეს, ცხოვრებას. ხალხისაგანაც რჩება მტვერი, ნაცარი"..... აქ რომ ჩაველი, უცბად კარებმა შეიჭრიალა და გრიალით და ღიღინით შემოვარდა ჩემს ოთახში ჩემი მეგობარი.

— იფი, ფი! გიყვარდა, მამავ, გუთანი, დაჯექ და იღიღინეო! რაო? რას მისჯდომიხარ ბუხარს?

— ვოცნობობ, ვფიქრობ, ვსჯი ამაზე, იმაზე. აი ეხლა ბერნეს სიტყვები გამახსენდა ცეცხლზე.

— შენი საქმე სულ ოცნებაა! და არ იცი, რომ ეგ ყველა, რაც შენ ჩამომითვალე, აღკრძალულია!

— ბიჭო, ჩემს ოთახში, მარტოდ მარტომ რომ ვიოცნებო, ვითომ რაო?!

— ისაო, რომ „ჰაიდაო"! შჩედრინისა ხომ გაგიგონია... ჰო, ბერნე რაზე გაგხსენებია?

— მოიდგი ე სკამი ბუხართან და გიამბობ.

მეგობარმა მოიდგა სკამი; ბუხარი ერთობ გამხიარულდა; ძაან შევფიცხდით დავწიეთ სკამებს და გვერდები შევუშვირეთ; გაგვეცივდა პირი; მოვბრუნდით, მივუცოცეთ სკამები; ახლა ისევ უკან დავიხიეთ; სწორედ „წაჯექ-უკუჯექობა" ვითამაშეთ. ასეთია ბუხარი და ქართველის სახლი.

— ამ ბუხარს რომ დაღონებული შევცქეროდი, ფიქრები ამიშალა; მოვიგონე ბერნეს სიტყვები, რომ შეშა იწვის, სხვაფერდება, ესე იგი კვდება; მაგრამ ეს სიკვდილი ჰბადებს ცხოვრებას. კაციც კვდება, გარდიქცევა მიწად, ზოგი, ნაწილები ადიან ჰაერში, როგორც შეშის კომლი, ორთქლი, მაგრამ ეს კაცის სხეულიდამ ასული კომლი არ კეთდება ღრუბლებად, უკან აღარ გვიბრუნდება და არასფერს არ გვინაყოფიერებს. აქ შესანიშნავი მწერალი ჰკითხავს თავის-თავს: „მაშ სად მიდიან ურიცხვნი, დაშთენილნი უხმარებლად, ძალები ყველა იმ მილიონი ხალხებისა, რომლებიც არა-რაი იყვნენ, რომლებთაგანაც არა-რაიმე გამოვიდოდა? აღზრდა ხოცს იმათ". დაიბადება თუ არა კაცი, იმის სულს და გულს იღჯოვებენ გაუნათლებელნი დედ-მამანი, ძიძები; მერე ბავშვი ვარდება პირუტყვ მასწავლებლის ხელში, რომელიც უცხო ენაზე ჩაგჩიჩინებს რალაცაებს, და რადგან ცემა აკრძალულია, მუდამ გლანძლავს და ხანდისხან „ვირის შვილს და ძაღლის შვილსაც" დაადევნებს. ბოლოს სულით და ხორცით ვარდები პოლიციის ხელშიო; პოლიციელი ხდება შენი აღმზრდელიო." ჰა, არ გენიშნა ეს ბერნეს სიტყვები?

— ეგ სიტყვები ქართველებზეა თითქო ნათქვამი; არა, ცოცხლები რომ არას ვაკეთებთ, მკვდარმა რა უნდა გააკეთოთ. ერთმანერთს შევცქერივართ: აცა—დაიცა, ის წამოდგეს, იმან გაიწიოსო; ეს იმას ეკრობა, ის ამას და ვართ ერთ ალაგას გაბოტილები. ერთხელ რომ პირობა დავსდოთ: აი, ბიჭებო, ეს საქმე დავიწყოთ, ამას მოვეკიდოთ ხელი. „უჰ, შენი ჭირიმე, აბა ჰა! სირცხვილია, ასე გულ-ხელ დაკრეფილები ვსხედვართ!"

გამოიცნობთ მის ტეინის ნაწარმოებს ზეპირ-გადმოცემაში. უწინდელს დროში გამოცანების აღწერა ანუ შებმა ერთმანერთთან გამოცანებით იყო დიდი ნიჭის და სიბრძნის ნიშანი. ვის არ გაეგონება ზღაპრებში რომ მზით უნახავი ქალი ხშირად იმას ჰიჭყებოდა ცოლად, ვინც გამოცანების აღწერა კარგად იცოდა. გამოცანის აღწერით თავისუფლდებოდა კაცი, თუ გინდ სასიკვდილოდ წამზადებულიც ყოფილიყო.

ამდენ გვარი მნიშვნელობა აქვს ხალხის ნაწარმოებს და, ჩემის აზრით, მათ შეკრებაში ყველაზედ უფრო დიდი მოვალეობა ჩვენ სახალხო მასწავლებლებზედ არის და შეძლებაც მეტი გვაქვს ჩვენ ეს საქმე სისრულეში მოვიყვანოთ, როგორც ხალხთან დახლოვებულთ და მათის ცხოვრების მცოდნეთ.

უცირილ. სკ. მასწავლებელი
თ. ხუსკივაძე.

დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ პატივცემული პოეტი თ. გრ. დ. ორბელიანი ამ ჟამად ევად არისო ფილტვების ანთებით. მაგრამ ჩვენი საყვარელ პოეტის თანამგრძნობელთა სანუგეშოდ, შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ, როგორც დაგვარწმუნეს, ის ისე მძიმე ავად-მყოფი არ არისო, რომ იმის სიცოცხლე საშიშს მდგომარეობაში იყვესო.

* * *

რუსეთის გაზეთებში იწერებიან, რომ განათლების სამინისტროს დაუდგენია ამიერ მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში და მიუცილებელ გარემოებათა გამო მოუმატონ ფასი ლექციების სმენის თუ გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში. ამ ჟამად განათლების სამინისტროს სწადიაო ისეთი საშუალებანი, წყარო აღმოაჩინოს, რითაც სახალხო განათლებას გაუმჯობესება დაეტყოს და ურომლოდაც უქმი იქნებაო ის ცვლილებანი (რეფორმა), ხალხის საკეთილ-დღეოდ რომ არიან შემოღებულნიო.

* * *

საფრანგეთში მყოფ ერთი მეფის ჩამომაველობის (ორლეანის) წევრთაგანი ჰერცოგი შარტრისა, რომელიც დათხოვნილ იქმნა სამხედრო სამსახურიდამ, ჩვენ ქვეყანაში მოემგზავრებაო, იწერებიან სამზღვარ გარეთის გაზეთები.

* * *

ჩვენ გადმოგვცეს ერთი საკვირველი ამბავი.

ზორის მაზრის ერთ სოფელში ერთ გლეხს, მიწის თხრის დროს უნახავს კაცის თავი, რომელსაც წვერ-ულვაში და თავის თმაც ოქროსი ჰქონდა და თვალები მინისაო. ბანცვიფრებულ გლეხს აუღია ეს თავი და ადგილის მღვდლისათვის მიუტანია: უფალმა არ მიწყინოს, ვაკურთხებინო და ისევ დავმარხაო. მამა მოძღვარს ერთი აბაზი, თუ რამდენიღაც მიუცია გლეხისათვის და უთქვამს:—კეთილად მოიქეცი, შვილოო, ეს დიდი ცოდვაო, საფლაიდამ ადამიანის ძვლის ამოყრაო, მე ვაკურთხებ ამას და დავმარხავო. წამოსულა გლეხი.

პატივცემულ მოძღვარს აუღია ეს თავი, შემოუცლია ეს ოქროს სამკაულნი, ამოუღია თვალებიც და ცარიელა სარქველი გადაუგდია საღმრთო ხრამში.

ამ ამბავის გადმომცემმა აღგვითქვა მომაგონა ჩვენი ჯვარ-ცმა, რომ ჩვენი მამა-პაპანი ამისთანანი და ამისთანანი იყვნენ; მ. დ. ჯანაშვილმა ვრცელი „ისტორიული სურათებით" დაგვანახვა, თუ როგორი ქალები გვყოლია; როგორ თავ-განწირულნი იყვნენ არა კაცნი და არა ქალნი, როგორ მსხვერპლის შეწირვისა მამულისთვინ არ ეშინოდათ და გულადად, ძაყად, სიხარულით, თითქოს დღეობას მიდიანო, მიდიოდენ საწამებლად. ეხლა? პოეტისა არ იყოს:

„... მწვეველ ფურად
თავი ჩვენი გარდვიქციეთ,
ის დიდება, ის სახელი,
ის ოჯახი დავაშტიეთ."

ეხლა მსხვერპლისა გვეშინიან, თავს ველუნაეთ, თვალებს ეხუჭავთ დაშინებული მოკრიველისავით. ერთი რომ შეიწირება, ორი, სამი, მაშინ „ეჰეუო!" იტყვიან და უკან დაიწევენ. მაშინ მკვდრებსაც სახელი ექმნებათ, იმათი სახელით ვისულდგმულებთ, იმათი შეწირულის სიცხლით ნიადაგი გაპოხიერდება, და მაშინ...

— მართლა, ბიჭო, იმ სწაელების პლანზე როგორა ხარ, აი, სოფლის მასწავლებლებს რომ მიუვიდათ. ასეო, ისეო, ქართულიო, რა ვიცი, ვის დაჰკარგვიაო, ვისი ტიკი-ტომარააო. ჰა!.. კრავი ჰქმნა ჩვენმა ლიტერატურამ, რომ თავისებურად არ აწუწუნდა, „იერემიადებს" არ მოჰყვა. აქ, უნდა მოგახსენო, ჰკუით უნდა გაკეთდეს საქმე.

— მე მაგის შესახებ აკაკს სიტყვებით გამოგელაპარაკები:

„ბნდაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი დირსება
ყოველგან დაჩაგრულია!!

კრულია მისი სხენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს დალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღდა თრენასა!.."

— ეჰ, დავანებოთ თავი ამ ოცნებებს, თორემ ქადაგებს დაგვიძახებენ, თუმცა კარგი ქადაგობა საჭიროა ჩვენ დროში.

— მაშ კარგი, ერთ კარგ, საინტერესო წერილს წაგაკითხებ, მანო ხვედაძის მოწერილს ჩემთან, მაგრამ ამას კი გთხოვ, რომ პირს კლიტე დაადე და არსად წამოროხო.

— არა, რომელი ბავშვი მნახე! დარწმუნდი, რომ ამ კედლებს იქით არსად წავა იმ წერილის შინაარსი.

ტის სიმძიმე კორრესპონდენცია 6 კაპეიკად გაიგზავნებაო წელს. ქვედ ამტყდარა ამ შემცირებაზედ სწავა

* * *

რუსულ გაზეთებში იწერებიან, მოკლეს ხანში განიხილება პროექტი, რომ სამხედრო სამსაჯულოებში მსაჯულებად განსაკუთრებით სამხედრო პირნი იყვნენ, სამოქალაქო პირთხსენებულ სამსაჯულოებში არაეითარი მონაწილეობა არ ჰქონდეთო.

„დროების" კორრესპონდენციები

ბათუმი, 13 თებერვალს. აკი მოგახსენეთ ამას წინად, რომ ბათუმის ქართველი საზოგადოება ყველა რიგიან საფუძველზე დაარსებულს ქველ საქმეს თანა-უგრძნობს მეთქი; აი, კიდევ ნიმუში ამ გვარის თანა-გრძნობისა.

ამ დღეებში ქ. ბათუმში ქლბატონის მეთეენ ლ. ჭურულის თანხლობით სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ბ. ერისთვის ოთხ მოქმედებიანი კომედია „გვარას". წარმოდგენა იყო დანიშნული „წყალ-ქათხვის ბამაერცელებელი საზოგადოების" ბათუმის სკოლის სასარგებლოდ.

სწორედ, როგ ღირსია მადლობისა და თანა-გრძნობისა ჩვენი საზოგადოების მხრივ მეთეენ ჭურულისა, მით უფრო, რომ მისი თანა-გრძნობა და სიყვარული ჩვენი სკოლისადმი ამით არ სრულდება. მას აქვს განძრახვა კიდევ რამდენჯერმე ითამაშოს წარმოდგენის გამართვა ამაეე საქმის სასარგებლოდ. რომ რუსის საზოგადოებაც ყოფილიყო წარმოდგენაზედ და მათი ესტეტიური გრძნობაც რაიმე შესაფერი თავ-შექცევით დამტკბარიყო, რადა

— მაშ კარგი. ჩავიყავ უბეში ხელი და ამოვაცარე; ხელში მაგრა დავაჭირე და აქედ-იქით მივიხედე, რა ვიცი, ეშმაკს თვალთ არ უჩანს, ფანჯარაში არავინ შემოიხედოს და საქმე არ გახიაზდეს-მეთქი. თუმცა კი იმისთანა არა სწერია-რა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ აკლკავა. აი, ყური დამიგდე; კაი ხნის მოწერილი კია, მაგრამ მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს:

„ძმაო ვახტანგ! დიდი ხანია მსურდა შენთან მიწერ-მოწერის გამართვა. ბახსოვს, ერთმანერთს რომ შევპირდით? შენ სულ დამივიწყე, მაგრამ მე კი ადრინდელსავით მაყვარხარ და ხათრი მაქვს, ამიტომ ჩვენ ამდენის ხნის სიჩუმეს ვარღვევ ამ წერილით. მინდოდა გაზეთით გამოგელაპარაკებიყავ, მაგრამ, ღმერთმა ჰკითხოს შჩედრინს, რომელიც თავის თხზულებაში „Круглый Годъ" გადაწყვეტით ამბობს თვისგანვე დაყენებულს კითხვებზე, რომ აზროვნობა დაშლილიაო, კაცური გრძნობების გამოთქმა წინააღმდეგიაო. მატრიალე ეს კითხვა-მიგებანი გამოჩენებული სატირიკოსისა, ვატრიალე, ავსწონ-დავსწონე,— და—ეჰ!—თავს არ მოვედ: ეს ამაზე ნურას დაბეჭდავთ, ადმინისტრაცია

განაც ქართული წარმოდგენიდგან მათ არა ესმოდათ-რა, ამისთვის მეთიევნ მურულისამ სთხოვა მონაწილეობის მიღება ქალბატონს კორრადინისას, რომელიც მშვენიერად უკრავს ფორტეპიანოს; ამანაც დიდის სიამოვნებით აღასრულა თხოვნა და ქალბატონი სუხანოვის და ბ.ბ. სუხანოვის და მიტის დახმარებით გამართა კონცერტი, რაზედაც ხელოვნურად აღასრულეს ოთხი არჩეული მუზიკალური პიესა. მშვენიერად აღასრულეს მიტისმა და სუხანოვმა პიესა ოპერიდგან „ოლბერონ“. დიდი მადლობის ღირსნი არიან კონცერტის მოთავენი, რადგანაც ამ გარემოებამ ერთი-ორად გაადიდა საზოგადოების რიცხვი წარმოდგენაზედ.

არა-ნაკლები თანა-გრძნობა სცენის მოყვარეებთან გამოუჩინეს წარმოდგენას კნიაჟნებმა ნინა მიზიროვისამ და ნადეჟდა პრისთავისამ, რომლებიც დიდის ალტაცებით იდგენ ამ შემთხვევისთვის გამართულს ბუფეტში და ეაჭრობდენ. არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ სარდიონ ამირეჯიბი და დრუჟინის აფიცერი ბ. ქიშვარდი შაყელი, რომელთაც ისე მშვენიერად მოაწყეს სცენა და საზოგადოების ოთახი, რომ ყველა აღტაცებაში მოიყვანეს.

ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო წარმოდგენას. ბილეთების ტაცება იყო.

სკოლის სასარგებლოდ ხარჯის გარდა დარჩა 210 მანეთი, რომელიც ამ დღეებში გაეგზავნება „წერა-ქითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა“ ამ სკოლის მოთხოვნილებებისა დასაკმაყოფილებლად.

ქომედიამ ჩაიარა მშვენიერად. ყველამ თავის როლები სინდისიანად აღასრულა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე ქალბატონებმა დუბროვსკისამ, მაჭავარიანისამ და ნინა მურულისამ. მშვენიერად აღასრულა ივანეს როლი თ. ლ. დადიშკელიანმა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქალ. ნინო ბედევანოვის თაოსნობითაც მალე იქმნება გამართული წარმოდგენა ისევე ამ სკოლის სასარგებლოდ. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენმა ბათუმის სკოლამ მიიქცია ყურადღება ბათუმის ქართველი საზოგადოებისა; ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ეს გულ-მხურვალე კეთილ-შობილური მოძრაობა ჩვენი საზოგადოებისა არ შემდგარიყოს და მიელწიოს თვის წმინდა მიზნამდის.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მ. ნათაძე.

გორი, 16 თებერვალს. დიდი ხანია მსურდა დავრწმუნებულვიყავ იმაში, თუ როგორ მიდის სწავლა განათლება ჩვენს მაზრის სასულიერო სასწავლებელში. ამ განზრახვითა დაველწარ არა-ერთხელ აქაურ მასწავლებლების გაკვეთილებზედა და მომეტებული ჩემი ყურადღება მივაქციე მოსამზადებელ კლასებსა, რადგანაც საფუძველი სწავლისა აქ იწყობა, და უკეთუ ეს საფუძველი არ არის მკვიდრი, სწავლა და შრომა ზემო კლასებში გაძნელებულია როგორც მასწავლებლებისათვის, აგრეთვე მოსწავლებისათვისაც.

დიდიხნის დაკვირვების შემდეგ ის აზრი გამოვიტანე, რომ ორნივე მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები ერთგულად და სინდისიანად ეკიდევიან თავიანთ თანამდებობას და სდებენ მკვიდრს საფუძველს სწავლისა ყმაწვილებში. ამას ამტკიცებს თვით შაგირდების ვარიერული პასუხი კითხვებზედ სხვა-და-სხვა განზედ.

რაც შეეხება მასწავლებლების დამოკიდებულებას შეგირდებთან, უნდა ვთქვა, რომ ნაძდვილი მშობლური დამოკიდებულება არის მათ შორის: ნაცვლად წინანდელი შიშისა, რომელსაც გრძნობდენ შაგირდები, სუფევს სიყვარული და სიყვარულზედ დაფუძნებული საქმე, მოგეხსენებათ, ნაყოფიერია და სასარგებლო.

უნდა ვსთქვათ სინდის ქვეშ, რომ ჩვენ დიდად დანაშაულნი ვართ ამ მასწავლებლებთან, რომლებსაც ვერ ვაკმაყოფილებთ თანასწორ მათის შრომისა, რითაც გამხნევების მაგიერად ხალისს დაუკარგავთ და ამით ჩვენ თავსვე ვაზარალებთ.

ამ გვარ ჩვენ მოქმედებით ჩვენ იმათ ვაიძულებთ, რომ დასტოვონ თავიანთი ალაგი. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ მასწავლებლების ხშირად გამოცვლა საზოგადოდ მთელ სასწავლებელს აწყენს, უკეთუ ვინმე ხანგრძლივ დასდგება ამ მცირე ჯამაგირებზედ, ისიც უღროდ თავს დაისნეულებს და ჯეროვან სარგებლობას ვერ მოიტანს. როგორც გავიცანი აქაური მასწავლებლების ცხოვრება, ეხედავ, რომ დღიური მშრალი ლუკმა პურიც კი მათთვის დიდი საზრუნველია.

აბა, რა ქნას საწყალმა მასწავლებლებმა; ლუკმა-პურზედ იზრუნოს, თუ სწავლა—განათლებაზედ? ახლა, მიეღოთ სახეში ისიც, რომ ამათთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს კითხვა სხვა-და-სხვა წიგნისა და ჟურნალ—გაზეთებისა, რომ თითონაც წინ წაიწიონ, თორემ ერთ დონეზედ დგომა უკან დაწევა იქმნება. ჩვენი ზემო მოხსენებულნი მასწავლებლები ამასაც მოკლებულნი არიან, რომ ჩვენ გვიცქირონ. ისინი იძულებულნი არიან აიღონ სადმე ვალი და თავიანთი ჭკუის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. მართლაც ასე ჩადიან: დიდ გაჭირვებით შოულობენ წიგნებს და გაზეთებს საკითხავად. ვინ არის ამაში დამნაშავე, თუ არ ჩვენი მოწრის მაზრის სამღვდელოება? მართალია, ჩვენც გვეჭირს ცხოვრება, მაგრამ ჩვენი ვაჭრობა ვერ გვიხსნის ჩვენი შვილების აღზდისაგან.

იმედი მაქვს, რომ ჩემი თანამოძმენი, რომელთაც კი ესმისთ, რა რიგი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებაში მოსამზადებელს კლასებს და ჰსურთ თავიანთი შვილები დაყენონ საფუძვლიან სწავლაზედ, არ დაზოგავენ უკანასკნელ ღონის-ძიებას და დააკმაყოფილებენ მოსამზადებელის კლასების მასწავლებლებს თანასწორ მათის შრომისა და მით წაახალისებენ მათ, სულით და გულით მიემყარონ თავიანთ მოვალობასა.

ერთი მღვდელთაგანი.

ოთხშაბათს, 23 თებერვალს
ბენეფისი
ნ. მ. გაბუნიასი
წარმოდგენილი იქნება
I
ძაჭანკალი
II
დედა და შვილი
III
მათიკო
IV
დივერტისმენტი

ცამდინ მართალია და—ცა! ნუ შეეხებით და სხვ. და სხვ.; პირ-და-პირ ვერას იტყვი და ლობე-მძვრალა ჩატივით თუ მუდამ ძვრენ, ღონე-და შეგრჩება!!.

„აი ეხლა ამ წერილს რომ ესწერა საღამოა, შებინდდა; დღეს ღამეს გადულოცა ბატონობა; ჩემს შანდალს ფარანის ჯარი გარს ეხვევა, თავს ეყრება; დასცქრიალებენ, დაჰხრიან. მე ცალმი ძირს დავსდე, გადვიზნიქე სკამზე და დაეუწყე ცქერა იმათ სიცელქეს. რა რიგ ელტვიან სინათლეს? რა რიგ უყვართ იგი? რა ნაირად იხოცენ მისთვის თავებს? ხედავ? ჰია-ღუეშიც კი ეძებენ სინათლეს. ჩვენ კი, ჩვენ უკუნში ვძვრებით, კბოსავით მივბობღავთ უკან, მივბობღვეთ სიფრთხილით, რომ არავინ შენიშნოს ეს ჩვენი ბობღვა. ძალი ხომ ძალია, აბა ერთი ჯოხი დაარტყი, როგორ დახრჩენილ კბილებით შემოგრინავს, თავის დაჩაგერას არავის დუთმობს; პატარაობისას რამდენჯერ წამიკიდნია ძალებზე; ესენიც, როგორც კაცები, სუსტს დაიბრიყვებენ და ზედ წაელალებიან, მაგრამ ნახე როგორ ყველას ჰკბენს! ნახე როგორ გაალმასდება და ცხარე ბრძოლიდამ თითქმის გამარჯვებული გამოდის!! ჩვენ მუდამ კეტს გვცემენ თავში და პასუხის ნაცვლად ვუღრეჭით; ლამის, უკაცრაული პასუხია, ლამის... და ჩვენ კი სულელურად თვალებს ეხუჭავთ... მე ძაან ვეწამე, მეგობარო, უნდა აქ შევსდგე და შევსცვალო კიდევ წერილისა.

„ამ დარდებზე კვლავ მოგწერ, ეხლა, ამ ჯერად ჩვენ პროვინციას გაგაცნობ. ჩვენი პროვინციის ქალაქმა დაიწყობ. მაგიხარიან, რომ აქ სასწავლებლებიც ბევრი გვაქვს და ახალ-გაზდობაც ბევრია. ამ შემთხვევაში გუბერნიის ქალაქებსაც კი არ ჩამოუვარდება. ახლა ნახე, რა ადმინისტრაცია გვყავს. საგნებს ხომ არ აქცევს ყურად-ღებას, ე. ი. თავის ნამდვილ საქმეს; ამათ გაჩხირვიათ ყველში რამდენიმე პირი და იმათ მტრობაში, ძრახვაში და ბეზღობაში ამოსდით სული. ქუჩაში დამპალი კატა, ან ძაღლი რომ დახვდეთ, ზედ გადაახტება პრისტავი, თუ დაინახა, რომ წინ ვიღაც ახალ-გაზდა კაცი მიდის, გვანდება და ხელთ კი რომელიმე ბაზაზი კი შერჩება. ქურდობა, ავაზაკობა, დუქნების მტვრევა, ქუჩა-ქუჩა ღრიალი, გაუვალი ლაფები, მტვერი, მოპილწული ქუჩები; სოფლად ცეცხლი, ცეცხლი და ცეცხლი!! ქურდობა, ავაზაკობა, რომლებიც სწორედ შაჰ-აბასის დროს მოაგონებენ კაცს,—ყველა ამან გააჩანაგა ჩვენი მაზრა; საცოდავი გლეხი რომ იძინებს, არ იცის ცოცხალი ადგება, ან ცხოვრებისაგან დასცლიან, თუ არა. პატრონი? ურის-მგდებელი? ძე-ხორციელი არაიან! ქრთამზე აშენებულია აქაურობა და ისევე ქრთამმავე თუ არ დააქცია, ძნელია; წყლის კოკა წყალზევე გატყდებაო, ნათქვამია. ღვთისგან განაჩენი ჩვენებური პრისტავებს არა ესმისთრა, კაცმა რომ ორი წინადადება ვერ დასწეროს, ვერა სთქვას, არა თუ რუსულად, ქართულად არის მაინც, იმას რა უნდა მოსთხოვო.

„მაშ რა არის ამათი საქმეო? იკითხავ: რადგან იციან, რომ სხვა საქმის გაკეთება არ შეუძლიანთ და მაშასადამე ფეხს ვერ მოიკიდებენ, გაუზეპრებიათ სიტყვა: „სოციალისტი“ და გააჯავრებ თუ არა ან ხუმრობაში, ან პურის ჭამაში, ერთის სიტყვით სულ ერთ, მანყულის დანაფასეე საქმეზე, ჩაგაბენდებენ: ესა და ეს „სოციალისტია“, ჩვენი ბატონიც ისეთი კაცია, რომ მოსაკელელად ხელი არ შეუთრთოლდება, მერე ქართველს ისე სიამოვნებით დაჰკლავს, რომ მზა-რეული ისე ქათამს ვერ დაჰკლავს. შეხედავ თუ არა სახეზე, შეფურთხება მოგინდება, მაბეზღრობის დამდა აზის შუბლზე, გელაპარაკება და ჩუმად კი დანას ლესს დასაკელელად. მე და ჩემმა ღმერთმა, რომ მეცოდებიან ეს ყოველად უგუნურნი, და მეცოდებიან იმიტომ, რომ ამითი ფონს ვერ გავლენ, გამოველენ ჩვენთან და სამუდამოდ მურ-წასმულები უნდა იარონ; უნდა მუდამ მათ შვილებს ცხვირში ძმარ-ნაღველი ადინონ, რომ შენ გველის წიწილი ხარო. ძაი სასჯელია, დამიჯერე. ძმარა ამ ხანად ეს უბედობა, ზოგი საკვლაისოდ იყოს“.

— სამწუხაროა, სამწუხარო! მაგრამ მეორეს მხრივ კარკი, სთქვა ჩემმა მეკობარმა, ერთი უკიდურობა მეორეს გამოიწვევს. „მაჭირვება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო“. მანამ არ დაგეცხები, არ ვაცილებ ძებთ. ღმერთმა ჰქნას. ღმერთმა! მე მიხარიან... ადე გავიდეთ კარში, რას ჩამჯდარხარ, ესეც ხომ მზრი არ არის გაელაშა „სოციალისტობა“ დაგვწამონ.

ზამთრის გართ: ხალხი ირეოდა შვენიერ, თებერვლის თბილ მზეზე; ჩვენც შევეკრიენით დ დარდები განვაქარვეთ.

ა. ფურცელაძე.

ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 იანვარს 1883 წელსა.

აქტივი.

	მან.	კ.	მან.	კ.
1) ნაღდი ფული კასსაში — — —	2,937	09		
გირაოს ფურცლები გადმ. — —	11,000	„		
„ „ შუამდით წარმოდგენილი ვალის გარდასახდელათ — —	2,200	„	16,137	09
2) მიმდინარე ანგარიშებზე:				
ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში — — — —	150,471	68		
ბ) კერძო ბანკებში — —	1,255	51		
გ) კორრესპონდენტებთან — —	4,814	55	156,541	74
3) შესატანი:				
ა) საწევრო ფული თბილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში —	—	—	30	„
ბ) — — —				
4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:				
ა) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შეხსნული სახელმწიფ. ბანკის თბილისის განყოფილებაში (80,000) —	72,049	55		
ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები (29,200)	28,451	82		
°/°/°— — — — —	698	90	101,200	27
5) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით:				
ა) მიწა-წყლის გირაოზე 54½ წლით —	444,300			
ბ) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წ. —	375,600			
გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 27½	580,400			
დ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თვით — — —	6,900	„	1,407,200	„
6) გრძელ ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით და გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ:				
ა) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წლით —	469,700	„		
ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წლით	1,861,300	„	2,358,000	„
7) სესხნი, რომელნიც დანიშნული იყო გასაცემად:				
ა) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წლით				
ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წლით				
გ) „ „ „ „ 18 წლით და 7 თვით				
8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა ლგოტა (§ 13)				
ა) გრძელ-ვადიან სესხზე —	145,063	48		
ბ) მოკლე ვადიან სესხზე — —	2,641	56	147,708	04
9) ვადა გასული შემოსატანი ფული —	—	—	30,809	77
10) მოკლე ვადიანნი სესხნი — —	—	—	116,975	„
11) გირაოს ფურცლები, სკამისად მიღებულნი (234,300) — —	—	—	147,440	„
12) დაბრუნებული ხარჯი — —	—	—	7,050	08
13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადასახდელი	—	—	—	—
14) ხარჯი:				
ა) ბანკის მოწყობისათვის — —	—	—	4,686	97
ბ) ბანკის გამგეობის შენახვა — —	—	—	—	—
ბალანსი			4,493,778	96

	მან.	კ.	მან.	კ.
1) ძირის ფული:				
ა) გრძელ-ვადიანი სესხისათვის — —	177,902	75		
ბ) მოკლე ვადიანი სესხისათვის — —	121,962	07	299,864	82
2) სათადარიგო თანხა:				
ა) სესხი, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდებით ძალით — —	18,294	32	—	—
ბ) ურთი-ერთი შორის თანდებობით გაცემულ სესხზე — — — —	7,815	63	26,109	95
3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის —	7,492	—		
4) „ „ რომელიც ზედმეტედ კომიტეტის განკარგულებაშია — —	4,190	80	11,682	80
5) საერთო-შემთხვევო თანხა — —	—	—	9,371	54
6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლათ გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით:				
54½ წლით — — —	445,300	„		
43½ „ — — —	377,600	„		
27½ „ — — —	580,400	„		
18½ და 7 თვით — —	6,900	„	1,407,200	„
7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულია ურთი-ერთი შორის თანდებობის გირაოდ მიღებულ უძრავთ ქონებათა:				
43½ წლით — — —	496,700	„		
27½ „ — — —	1,861,300	„	2,358,000	„
18 წ. და 7 თვით				
8) გასაცემად დანიშნული გირაოს ფურცლები:				
43½ წლით				
27½ „				
18 წ. და 7 თვით				
9) მოსასპობლად დანიშნული სესხნი:				
ა) გირაოს ფურცლებით —	2,200	„		
ბ) ნაღდი ფულით — —	503	74	2,703	74
10) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლები ჯერ წარუდგენელნი გადასახდელათ —	—	—	56,450	„
11) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები — — — —	—	—	99,059	„
12) სარგებლის ფონდი — — —	—	—	112,956	60
13) ვალის გასასტუმრებელი ფონდი:				
54½ წლით — — —	884	56		
43½ „ — — —	1,296	61		
27½ „ — — —	6,917	55		
18 წ. „ და 7 თვით — —	132	96	9,231	68
14) ვალის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თანდებობით:				
43½ წლით — — —	1,354	74		
27½ „ — — —	16,726	40	18,081	14
15) გირაოს ფურცლები, შეძენილნი შესავსებლად ბანკის ზარალისა, თუ გაინატობას 1882 წ. დაგირავებულის მამულის გაყიდვამ სესხი სრულიად ვერ დაუბრუნა ბანკს — —	—	—	11,000	„
16) გარდამავალი ჯამნი:				
ა) ნაღდი ფულით — — —	13,807	92		
ბ) გირაოს ფურცლებით — —	—	—		
17) კორრესპონდენტები — — —	—	—	—	—
18) მსესხებელნი — — — —	—	—	2,977	11
19) ნაღდი მოგება *) — — —	—	—	55,282	66
ბალანსი			4,493,778	96

*) ნაღდი მოგება იყო — — — 72,664 მ. 23 კ.

ამ ჯამიდამ გამორიცხულია:

ა) შესასყიდად გირაოს ფურცლთა, შეძენილთა შესავსებლად ბანკის ზარალისა, თუ გაინატობა 1882 წ. დაგირავებულის მამულის გაყიდვამ სესხი სრულიად ვერ დაუბრუნა ბანკს — — — — — 9,460 მ.

ბ) ვადაზედ შესატან ვალის გადახდა და მამულების დაზღვევისათვის — — — — — 5,921 მ. 57 კ.

გ) გადახდა ერთის მტირე-ვადიანის სესხისა — — 2,000 მ.

სულ—17,381 მ. 57 კ.

დარჩა—55,282 მ. 66 კ.

თავმჯდომარე ბანკისა თ. ი. წერეთელი.

წევრნი: თ. დ. ავალიშვილი.
თ. ს. ჩოლაყაშვილი.

ბუხგალტერი ქ. ხაჩატურიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Февраля 1883 г. Типографія Мелликова Გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი